ცნობის ფურცელი

№ 2309 პარასკევი, 31 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2309

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

№ 14. **ქართული თეატრი** ტელეფონი № 761

კვირას, 2 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად თარგ. დ. მესხის მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ივანიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

4 ნოემბერს გედევანოვის საბენეფისოდ დანიშნულია „სევილელი დალაქი“ და „დუელი“.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 31 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, კალინინა, ლელინა; ბ-ნნი: დარსკი, რაისკი, ამირჯანი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 1 ნოემბერს—„ფრანჩესკო და რიმინი,“ ნაპრავნიკისა; 2 ნოემბერს, დილით—„ჟიზნ ზა ცარია“, საღამოთი—„კარმენ“. (ნ).

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოიტანა, მათ ხვალიდან, 1 ნოემბრიდან, ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—5)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., სალ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაქისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საზღვარ-გარედ

ქალ. მუკდენის დაჭერა

ინგლისურ გაზეთებს სწერენ პეკინიდან: ეხლა კი ნიღაბი ჩამოიხსნა რუსეთმა და ქალ. მუკდენში ხელმეორედ ჯარი ჩააყენა. ამ ამბავმა ძლიერ დააფიქრა ჩინეთის მთავრობა.

„ტაიმს“-ის პეკინელი კორესპონდენტი იუწყება: ჩინეთს მუკდენს ახლო ცოტა ჯარი უდგა, ამიტომ სიტყვიერ პროტესტის გარდა, სხვას ვერას გაჰბედავს. ადგილობრივი ჩინელი გენერალიც სწორედ ამასა სჩიოდა: რუსებმა მეტად შემაცოტავებინეს ჯარი, მუკდენის მთელ პროვინციაში მხოლოდ 7 ათასი კაცი-ღა დამატოვებინესო. ეს გენერალი რუსებმა თავის საკუთარ სადგომში დაატუსაღეს და დარაჯები მიუჩინეს.

ჩინეთი დახმარებასა სთხოვს ამერიკას

გუშინ მოხსენებული გვქონდა, ჩინეთის ელჩი ვაშინგტონში ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრს ჰეის მუკდენის დაჭერის თაობაზე ელაპარაკა და დახმარება სთხოვაო. ამ საქმის თაობაზე „ტაიმს“-ს სწერენ ვაშინგტონიდან: ჰეი დაეთანხმა ჩინეთის ელჩს ჯენგუნს, მართალია რუსეთმა ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ ამერიკამაც ხმა უნდა ამოიღოს, მაგრამ, არა მგონია, ამერიკამ რაიმე ითავოს, სანამ ამერიკა-ჩინეთის ახალ ხელშეკრულობას სენატი არ დაამტკიცებსო.

ამ ხელშეკრულობის ძალით უცხოელებს ქალ. მუკდენსა და ანდუნში ვაჭრობისა და დასახლების უფლება ეძლევათ. მუკდენში ხომ კიდეც ჩააყენეს ჯარი რუსებმა; ეხლა ამერიკელებს ეშინიანთ, ვაი თუ ქალ. ანდუნშიაც ჩააყენონო. ამერიკულ გაზ. „სინ“-ს პეკინიდან სწერენ: „სანამ ჩინეთ-ამერიკის ახალი ხელ-შეკრულობა დამტკიცდება, ვაი თუ რუსეთმა ანდუნი და სხვა ნავთსადგურებიც დაიჭიროს და ამერიკელებსა და იაპონელებს მანჯურიაში ვაჭრობა აუკრძალოსო“.

რუსები ხელს იღებენ იონამპოზე

კორეის სატახტო ქალაქ სეულიდან ოფიციალური ცნობა მიჰსვლიათ ტოკიოში: რუსებმა იონამპოში (კორეაში) სიმაგრე დაანგრიეს და თითონ წავიდნენ; მხოლოდ პატარა სადარაჯო რაზმი—20 კაცი-ღა დასტოვეს იქაო.

იაპონია და გერმანია

ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს სწერენ ვენიდან: „სანამ ინგლისთან კავშირს შეჰკრავდა, იაპონია ძლიერ ეცადა გერმანიასთან დაახლოვებას, მაგრამ ვერას გახდა. ეხლა-კი გერმანია, ეტყობა, შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში რუსეთს ემხრობა და იაპონიას წინააღმდეგობას უწევს“.

ოსმალეთი და გერმანია

ფრანგულ გაზ. „ტან“-ს სწერენ სტამბოლიდან: ხონთქარმა უბძანა ოსმალეთის ელჩს ტევფიკ-ფაშას—გერმანიაშია ელჩად—ეხლავ ბერლინში დაბრუნდი და იმპერატორ ვილჰელმს ჩემი წერილი ჩააბარეო. მართლ-მორწმუნეთა ფადიშაჰი სწერს თავის გვირგვინოსან მეგობარს: ყოველთვის თქვენი მტკიცე და ერთგული მეგობარი ვიყავ, იმედი მაქვს, ამ გაჭირვების დროს დახმარებას გამიწევთ და ოსმალეთს განსაცდელიდან იხსნითო.

წერილს გარდა ტევფიკ-ფაშას მშვენიერი საჩუქრები მიაქვს იმპერატორ ვილჰელმისათვის.

გუშინაც მოხსენებული გვქონდა, ხონთქარს გერმანიის დახმარების იმედი გაუცრუვდა, გერმანიაც სხვა სახელმწიფოებს მიუდგაო. ამ საქმეზე რუსულ გაზ. „ნოვოსტი“-ს ამნაირი დეპეშა მოჰსვლია ბერლინიდან: „გერმანიამ ურჩია ოსმალეთის მთავრობას, რუსეთ-ავსტრიის მოთხოვნილება მთლად უნდა აასრულოთო“.

კონფერენცია მაკედონიის საქმეზე

გაზეთები იუწყებიან: ინგლისის დიპლომატიამ წინადადება მისცა დიდ სახელმწიფოებს, მაკედონიის საქმის თაობაზე კონფერენცია მოვახდინოთო. ამას გარდა ინგლისი ძალას ატანს ოსმალეთის მთავრობას, არაბეთში იემენის ოლქი ჩვენ დაგვითმეო.

სათემო არჩევნები ლონდონში

ლონდონი 28 საარჩევნო ოლქადაა გაყოფილი. 16 ოლქში პროგრესისტებმა გაიმარჯვეს, კონსერვატორებს მარტო 12 ოლქი-ღა შერჩათ. 1900 წელს სულ 471 პროგრესისტი იყო არჩეული, 785 ზომიერი და 106 დამოუკიდებელი, ეხლა კი 674 პროგესისტი აირჩიეს, 576 ზომიერი და 85 დამოუკიდებელი. ზოგიერთ ოლქში პროგრესისტებმა სწორედ სასახელოდ გაიმარჯვეს. ასე, ლევიხჰემში, სათემო საბჭოს ხმოსანთა უმეტესობა—32 კაცი—სულ პროგრესისტები აირჩიეს. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ლონდონის საქალაქო საბჭოებში ბევრი მუშა აირჩიეს ხმოსნად. ასე, ვულიჩში სულ 36 ხმოსანია და ამათში 25 მუშა აირჩიეს. პოპლარში წინად 7 მუშა იყო არჩეული, ეხლა კი 11 აირჩიეს. მუშებმა თვით უესტმინსტერშიაც-კი 6 თავიანთ წარმომადგენელი აირჩიეს ხმოსნად. ასე რომ ლონდონის სათემო არჩევნებში პროგრესისტებმა შესანიშნავად გაიმარჯვეს.

ბრძოლა სასკოლო კანონის წინააღმდეგ

ხალხი დღესაც მედგარ წინააღმდეგობას უწევს ახალ სასკოლო კანონს და სასკოლო გადასახადს დღესაც ბევრი არ იხდის. „დეილი ნიუს“-ი სწერს: სასკოლო გადასახადის მიუცემლობისათვის ეხლა 6,500-ზე მეტი კაცია მიცემული სამართალში.

შრომის კერძო კონტორების გაუქმება საფრანგეთში

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ კონტორების გაუქმების თაობაზე დეპუტატთა პალატას კანონ-პროექტი წარუდგინეს. ამ პროექტით სათემო საბჭოებს ნება ეძლევათ, შრომის კერძო კონტორები პატრონებისაგან შეისყიდონ. 21 ოქტომბერს პალატამ გაარჩია და დაამტკიცა კიდეც ეს კანონ-პროექტი. კამათის დაწყების უმალ სოციალისტმა კუტანმა მოითხოვა, შრომის კერძო კონტორები ეხლავე დაიკეტოს, იმათ პატრონებს არაფერი სასყიდელი არ ეკუთვნისო. დეპუტატმა სთქვა: „კერძო კონტორების პატრონები და მშრომელ ხალხის დალალები საზღაურის ღირსი არ არიან. ამ დალალებს კაცებისა და ქალების გასყიდვა ხელობად აქვთ გამხდარი და საწყალ, ღატაკ ხალხს დიდ ხარჯს ახდევინებენ. მე-41 დეპარტამენტის მუშებმა მრავალი საჩივარი გამოგზავნეს და კერძო კონტორების დაკეტვა ითხოვეს“. კუტანს დეპუტატი ბერიც მიემხრო. ბერი ამტკიცებდა, ეს დალალები საწყალ ხალხს წელიწადში 7 მილიონ ფრანკს ართმევენ ხარჯად, მშრომელ ხალხს ლუკმას აცლიან სწორედ პირიდანაო. განა ამისთანა მუქთამჭამლები შებრალებისა და საზღაურის ღირსი არიანო? კანონ-პროექტის მომხსენებელი შამბონი დაეთანხმა ორსავ ორატორს, კერძო კონტორები მართლაც და ძლიერა სძარცვავენ ხალხსა, მაგრამ პალატამ ეს კანონ-პროექტი შეუცვლელად უნდა დაამტკიცოსო, თუ უნდა, რომ საქმე არ გაჭიანურდეს და პროექტი მალე კანონად იქცესო, მით უმეტეს, რომ სენატმაც მოიწონა ეს პროექტიო. ვაჭრობის მინისტრმა ტრულიომ მთავრობის სახელით ილაპარაკა და კომისიის კანონ-პროექტს მიემხრო. ამის შემდეგ, კუტანის წინადადება პალატამ 436 ხმით 109 წინააღმდეგ უარ-ჰყო. მერე პალატამ კანონ-პროექტის ზოგიერთი მუხლი ცოტათი შესცვალა და ბოლოს მთელი კანონ-პროექტი 495 ხმით 16 წინააღმდეგ დაამტკიცა.

ასე რომ მოკლე ხანში შრომის კერძო კონტორებს სათემო საბჭოები შეისყიდიან.

შფოთი ჰუნგრეთის პარლამენტში

ჰუნგრეთის პარლამენტის პირველი სხდომა მეტად შფოთიანი ყოფილა. გაზეთები იუწყებიან: სხდომის დაწყების უმალ პალატის ვიცე-პრეზიდენტმა დანიელმა მოახსენა დეპუტატებს, აპონიი პალატის პრეზიდენტობიდან (თავმჯდომარეობიდან) გადადგაო. დეპუტატებმა ჯერ ყვირილი მორთეს, მერე კამათი დაიწყეს. უგრონის მიმდევრები ამტკიცებდნენ, აპონიი მთავრობის ძალდატანებით გადადგა, პალატამ ხელმეორედ ისევ აპონიი უნდა აირჩიოს პრეზიდენტადაო. აპონიის თანამდებობიდან გადადგომას არ უნდა დავსთანხმდეთ, ეს ჩვენის მხრივ უმადურობაც იქმნება და პოლიტიკური შეცდომაც, რადგან მთავრობასა და მეფეს უფრო მორჩილ პრეზიდენტის არჩევა სწადიანთო. კამათი ნაშუადღევის 1 საათამდე გაგრძელდა. ბოლოს თითონ აპონიიმ მადლობა გადაუხადა პალატას ნდობისათვის და გამოუცხადა, თავმჯდომარედ აღარ დავდგებიო. სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტეს. როცა ხელ-მეორედ სხდომა დაიწყო, პალატაში ახალი სამინისტრო შემოვიდა ტისას მეთაურობით. ლიბერალური პარტია სალმით მიეგება, მაგრამ უგრონის პარტიამ საშინელი ხმაურობა ასტეხა და ყვიროდა: „დაიკარგოს ტისა! გასაგონადაც კი გვეჯავრება! აქ რა საქმე აქვს!“ ტისას სიტყვაც არ ათქმევინეს. პირველმა მინისტრმა იმპერატორის ბრძანება (ახალ სამინისტროს დანიშვნის თაობაზე) დაანახვა დეპუტატებს, მაგრამ ამით აღელვებული დეპუტატები უფრო გააცეცხლა. ზოგი ყვიროდა: „რა უსინიდისობაა! რა თავსლაფის დასხმაა! დაიკარგოს ტისა!“ ტისამ იმპერატორის ბრძანება ვიცე-პრეზიდენტს გადასცა. ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით, ბრძანება წაიკითხეს და ამაზე ოქმი შეადგინეს. რაკი ეს წესი შეასრულეს, ტისას უფლება მიეცა, მაგნატების პალატის წინ იმავ დღეს წამდგარიყო. ამის შემდეგ ტისამ გამოაცხადა, მზადა ვარ პალატას ჩემი პროგრამა წავუკითხოო. ოპოზიციას სულ ცეცხლი მოედო, რაკი დაინახა, რომ ტისა თავისას არ იშლიდა. ბოლოს, ნაშუადღევის 4 საათზე ვიცე-პრეზიდენტმა პალატის სხდომა დახურა, ტისა მაგნატების პალატაში გაეშურა და იქ თავისი პროგრამა წაიკითხა.

ახალ პირველ მინისტრის პროგრამა თვით ლიბერალურ პარტიასაც ჭკუაში არ მოჰსვლია, რადგან პროგრამაში ეკონომიური რეფორმები არაა აღთქმული. ოპოზიციას ხომ სულ არ მოსწონებია ტისას პროგრამა. შფოთი უმთავრესად უგრონის პარტიისა და „ველუ-რებს“ მოეხდინათ; სახალხო კათოლიკე პა-

რტიაც ხელს უწყობდა თურმე ობსტრუქციას.

ახალი ამბავი

◆ 1899 წლის დამლევს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის ქალაქის საბჭომ მოინდომა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა. გამგეობა კიდეც შეუდგა სამზადისს და ამ დროს დახარჯა 68,701 მან. რადგან ფული 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ვერ შეიტანეს, საბჭომ დაადგინა, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში გადაეტანა. ქალაქის საქმეთა საკრებულომ ეს დადგენილება არ დაამტკიცა. საბჭომ საკრებულოს დადგენილება **განასაჩივრა სენატში.** გუშინ, 30 ოქტომბერს, გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სენატმა განიხილა საბჭოს საჩივარი, შეიწყნარა მოსაზრებანი ქალაქის საქმეთა საკრებულოსი და გააუქმა საბჭოს დადგენილებაო.

◆ ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიამ შეიმუშავა პროექტი **ვაგონების მიმოსვლის შესახებ.** სავალდებულო დადგენილებათა ძალით: მუშტაიდიდან სადგურამდე უნდა დადიოდეს არა ნაკლებ 4 ვაგონისა. ერთი ვაგონი მისვლა-მოსვლას უნდა ანდომებდეს 20 წუთს; მუშტაიდიდან ერევნის მოედნამდე უნდა მუშაობდეს 24 ვაგონი, უნდა უნდებოდეს 55 წუთს იქით-აქეთ. მუშტაიდიდან ვერის აღმართამდე უნდა მუშაობდეს 10 ვაგონი, 40 წუთი; ერევნის მოედნიდან ოლგას ქუჩამდე 11 ვაგონი, 42 წუთი; ვორონცოვის ძეგლიდან თივის მოედნამდე 8 ვაგონი, 24 წუთი, თივის მოედნიდან ორთაჭალამდე—4 ვაგონი, 35 წუთი.

◆ ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა აქვს მინდობილი, ექიმმა ვართანოვმა განუცხადა, რომ **მეეზოვეები ქუჩებს ჰგვიან** იმ დროს, როცა მცხოვრებნი საქმისათვის გარედ გამოდიან. ქუჩები იგვება მოურწყველად და დიდი მტვერიცა დგება. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას შეეკითხოს პოლიცმეისტერს; 1. პოლიციის რომელსამე მოხელეს განკარგულება ხომ არ მოუხდენია, რომ მეეზოვეები ქუჩებს ჰგვიდნენ იმ დროს, რა დროც სავალდებულო დადგენილებაში არ არის მოხსენებული, და მე-2. რა საშუალებით შეუძლიან დახმარება პოლიციას, რომ მეეზოვეები სავალდებულო დადგენილებას არ არღვევდნენ და ქუჩებს დროზე ჰგვიდნენ.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 15 ოქტომბერს **გორში ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები** არ მოხდა, ამომრჩეველთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ხელ-ახლად არჩევნები დაინიშნა 15 ნოემბრისათვის.

◆ გუშინ, 30 ოქტომბერს, **ტფილისიდან ქუთაისს წავიდა** სამოსამართლო პალატის სესია უფროსს თავმჯდომარის ბ-ნ ვრასკის თავმჯდომარეობით. სესიამ ხვალ, 1 ნოემბერს უნდა განიხილოს, სხვათა შორის, საქმე ქუთაისის პოლიცმეისტრის ლისოვსკისა და ჭიათურის ბოქაულად ნამყოფის ნ. ნ. არდიშვილისა, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებათ.

◆ 4 ნოემბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე **ინჟენერ-ტეხნოლოგის ხვოიცევისა**, რომელსაც ერევნის გუბერნიაში მარილის მადნებში ერთის მუშის ძალათ დაპატიმრება და ტუნელში ჩასმა ჰბრალდება. მუშას ტუნელში თავი ჩამოუხრჩვია. ბრალდებულს ხვოიცევს პალატაში დაიცავს პეტერბურგელი ვექილი კარაბჩევსკი.

◆ როგორც „ნორ-დარ“-ს ეჩმიაძინიდან ატყობინებენ, ვიღაც კაცებს **მოუკლავთ არქიმანდრიტი** დავითი. მკვლელნი დამალულან.

◆ 28 ოქტომბერს პოლიციის მე-5 ნაწილში მცხოვრებ ლევან ასლამაზოვის სახლიდან ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 12 მან. და ქალებისა და კაცის ტანისამოსი, 115 მანეთისა.

◆ ნაძალადევში ქუთაისის მაზრის მცხოვრების გ. ნიქაბაძის სადგომიდან პატრონის შინ არ ყოფნის დროს ქურდებს მოუპარავთ 80 მან. ნივთები.

◆ 6 ნოემბრისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულაა საქმე ბათუმის დამოჟნის მოხელის ვლადიმერ აბაშიძისა, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

◆ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე მაწანწალა ძაღლების დამჭერი 1-ლ ნოემბრიდან 15-მდე ძაღლების ჭერას შეუდგება პოლიციის შემდეგს ნაწილებში: მე-10 ნაწილში—3, 4 და 5, მე-9—6 და 7, მე-8-ში—8, 10 და მე-7—11, 12 და 13 ოქტომბერს.

◆ ხვალისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე გიორგი ვარძელიშვილისა, რომელსაც ღვთის გმობა ჰბრალდება, ზაქარია კანდელაკიშვილისა—კაცის კვლა ჰბრალდება, ტრიფონ მეძმარიაშვილისა—შეურაცხების მიყენება ჰბრალდება, და სხვ.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში (საზღვარ-გარედ, ტისას სამინისტრო) სწერია: „პარლამენტის წევრების შეცვლას ვეცდები“ (ტისას სიტყვებია); უნდა იყოს: „პარლამენტის წესდების შეცვლას ვეცდები.

შინ და გარედ

28.

არ მახსოვს, იყო თუ არა „ცნ. ფურცელში“ აღნიშნული, რომ ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ნაწილმა—სულ 25 კაცმა—განსაკუთრებული წრე შეადგინა და საკუთარი სამოქმედო პროგრამაც შეიმუშავა.

უეჭველია, ამ ხმოსანთა მოქმედება სრულის თანაგრძნობის ღირსია. 25 ხმოსნის შეერთებული და შეთანხმებული მოღვაწეობა წეს-რიგსა და სისტემას შეიტანს საბჭოს მუშაობაში; ხოლო კარგად შემუშავებულსა და შესაფერისად მოფიქრებულს პროგრამას შეუძლია სასარგებლო გავლენა იქონიოს საბჭოს მოქმედების მიმართულებაზედაც...

ძნელი საქმე იყო, ალბათ, წრის შედგენაცა და პროგრამის შემუშავებაც, მაგრამ ბევრად უფრო ძნელი იქნება წრის მოღვაწეობა და დასახულ საგნის აღსრულება, თუ შეთანხმებულმა ხმოსნებმა მტკიცედ არ დაიცვეს თავისი პროგრამა, სისტემატიურად და მედგრად არ იმუშავეს თავის განზრახვათა განხორციელებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, წრეს ყოველივე ეს გათვალისწინებული აქვს და ამიტომ მისი არსებობა სასარგებლო იქნება ქალაქის ინტერესებისთვის.

ჩემდა სამწუხაროდ, თვალყური არ მიდევნებია ჯერ ამ წრის მოღვაწეობისათვის საბჭოში და ამიტომ ვერას ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორი იყო შეთანხმებულ ხმოსანთა პირველი ნაბიჯი, მაგრამ არ შემიძლია ერთი გარემოება არ აღვნიშნო, რომელიც, ცოტა არ იყოს, ცუდ ნიშნად მისაღებია.

როგორც იცით, ახლა საბჭოს, ბ. შესტაკოვის მაგიერ, გამგეობის ერთი წევრი ჰყავს ასარჩევი. გამგეობის წევრის არჩევას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ხსენებული წრე ვერ გაჩუმდებოდა. მართლაც, ამას წინად მოხდა ამ წრის კრება, რომელსაც 17 ხმოსანი დაესწრო, და კანდიდატებზე მსჯელობა იქონია. ბოლოს, ხმის უმეტესობით (კენჭის ყრით), კანდიდატად დასახელებულ იქმნა ს. თ. ჭრელაშვილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ წრე ერთ წინა კრებაზე შეთანხმებულა: ვისაც მეტი თეთრი კენჭი ერგება, ჩვენის წრის კანდიდატიც ის იყოსო. ამრიგად წრემ სტ. ჭრელაშვილის კანდიდატურა ირჩია და მოსალოდნელი იყო, ამ დადგენილების აღსასრულებლად ზრუნვასა და მაცადინეობას შეუდგებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის გარდაწყვეტილებას ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგებოდა. მაგრამ, ნამდვილად, საქმე უცნაურად დატრიალდა.

წრის სხდომის შემდეგ მოხდა მთელის საბჭოს ხმოსნების კერძო კრება გამგეობის წევრის კანდიდატზე მოსალაპარაკებლად. კანდიდატების არჩევის საქმეში ხმოსანთა კერძო კრებას მთავარი როლი ეკუთვნის და ამიტომ, ცხადია, ხსენებულს წრეს, თუ მართლა ჰსურდა თავის დადგენილებისათვის გამარჯვება ერგუნებინა, საერთო კერძო კრებაზე ენერგიულად უნდა დაეცვა არჩეული კანდიდატი. ნამდვილად-კი ეს ასე არ მოხდა. კერძო კრებაზე სულ 42 ხმოსანი იყო, ამათგან ნახევარზე მეტი განსაკუთრებულ წრის წევრნი. მოხდა კანდიდატებს შუა კენჭის ყრა, რომელსაც სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: ყველაზე მეტი ხმა ლ. თ. ტიგრანოვს ერგო (25 თეთრი და 15 შავი),—იმ ტიგრანოვს, რომელსაც, წრის კრებაზე, ბ. ჭრელაშვილზე ნაკლები თეთრი მოუვიდა! ხოლო წრის მიერ მოწონებულს კანდიდატს, ბ. ჭრელაშვილს, მოუვიდა მხოლოდ 7 თეთრი, შავი კენჭი-კი ოცდაცამეტი! თუ ეს უბრალო „ნედორაზუმენიე“-ს მიზეზით არ მოხდა, ნება გვექნება შეთანხმებულ ხმოსნების უმრავლესობას ვერაგობა ვუკიჟინოთ...

ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ცუდ ნიშნად ჩაითვლება. თუ წრემ ასეთისავე „მხნეობითა და ბეჯითობით“ ან ასე პირნათლად დაიცვა თავისი დადგენილებანი, მისი არსებობა ფუჭი იქნება და, ალბათ, ხანმოკლეც... მაგრამ, იქნება მე ვცდებოდე და წრე საბჭოს სხდომაზე აპირებს ენერგიისა და სოლიდარობის გამოჩენას. ვნახოთ, ეს დროც შორს არ არის: გამგეობის წევრის არჩევნები ორშაბათს მოხდება. უნდა-კი ვთქვათ, რომ წრის დარღვევა-დაქსაქსვა ან შეუთანხმებლად მოქმედება მეტად სამწუხარო იქნება, რადგან მის-მიერ შემუშავებული პროგრამა საინტერესოა. მაგრამ პროგრამაზე შემდეგ.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „პრავო“ გადმოგვცემს, 6 ოქტომბერს ქ. კიშინევში ოდესის სამოსამართლო პალატის სესიამ დაიწყო განხილვა ჯარის კაცის ლეონ გოლდმანისა, ამის ცოლის მერა გალდმანისა, ურიადნიკის გინზბერკისა და მოქალაქეთა გერშიელკინისა, ხინა კოჟუნსკის ქალისა, მანა შკოლნისკისა და არონა შპაიზმანის საქმისა. ესენი პასუხის გებაში

ფელეტონი

—

აფხაზეთში

(მგზავრის შენიშვნები)

სოხუმიდან გაგრამდე

შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი, იქ სადაც ერთ დროს ბერძენთა და რომაელთ სავაჭრო მდიდარი ახალშენები იყო, დღეს კვლავ იბრუნებს წარსულ სახელსა და დიდებას, კვლავ იპყრობს საზოგადო ყურადღებას. წინათ აქ ბერძენ-რომაელთა ცენტრი იყო აღმოსავლეთთან სავაჭრო საქმეთა დასაჭერად; დღეს იგივე ადგილები საზამთრო კურორტებად არის გადაქცეული. სულ ათიოდ წელიწადია, რაც სოხუმის თბილმა ჰაერმა, ბუნებამ ამ ქალაქში რუსეთიდან ხალხი მოიზიდა. ბევრი აღმოჩნდა აქ მიწების შეძენის და დასახლკარების მსურველი. განვლო ხანმა და ფასები დაედო სოხუმის გარეშე მდებარე ადგილებსაც. მყიდველები აღმოუჩნდნენ მთელის შავის ზღვის პირას მდებარე ადგილებსაც, სოხუმიდან მოკიდებული ვიდრე ნოვოროსიისკამდე. ხელი შეუწყო ამ გარემოებას ნოვოროსიისკიდან სოხუმამდე გზატკეცილის გაყვანამაც. ის მხარე, რომელიც ამ თუთხმეტიოდე წლის წინად გაუვალს ტყეს მიჰქონდა, დღეს აგარაკებად არის გადაქცეული და აქ საკუთრების შეძენის მსურველთა რიცხვი არა თუ კლებულობს, დღითი-დღე იზრდება. ამ მისწრაფებას სულს უდგამს და აღფრთოვანებს იმედი მომავლის რკინის გზისა, რომელმაც მისვლა-მოსვლა უნდა გააადვილოს ერთმანეთზე დაშორებულ ადგილთა შორის. აფხაზეთს ახალი ხანა დაუდგა, რომელმაც ძირიანად უნდა შეუცვალოს ფერი მისს პირველ-ყოფილ ცხოვრებას. ვისაც აქეთკენ ამ ოცის წლის წინად უმგზავრნია, ახლა ვერც-კი დაიჯერებს, თუ ეს მხარე მოკლე ხნის განმავლობაში ასე გამოიცვლიდა სახეს. გამოიცვალა სახე მამულებმა, აჭრელდნენ მცხოვრებნი, გესმისთ რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური, ესტონური; მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტუზი—ერთმანეთშია აქ ასვრილი. ბაბილონის გოდოლის შენება გაგონდებათ, აქაურობას რომ ყურს უგდებთ. თქვენს თავს ეკითხებით, ე მკვიდრი ამ ქვეყნისა რაღა იქმნა, როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიანო! მათს სანახავად კი მთელი ორმოცი ვერსი და მეტიც უნდა გაიაროთ გზა-ტკეცილით.

ოქტომბრის შუა რიცხვები იყო, სოხუმიდან ეტლით რომ გავედით. მიუხედავად შემოდგომისა, მცენარეულობას თავისი მწვანე ხასხასა ფერი ისევ შეუცვლელი ჰქონდა. მზის სხივები ისე ათბობდა ქვეყანას, გეგონებოდათ, ზაფხულის პირასა ვართო. გზატკეცილი ზღვის პირის გაყოლებით მიიკლაკნება. სოხუმიდან მეოთხე ვერსზე ქალაქის მამულები, ციებ-ცხელებიანი, გუბეებიანი თავდება.

სწორედ ამ ჭაობებზე ხშირს ტყეში მეგრელებს თავიანთი საცოდავი ფაცხები წამოუდგამთ. ჰკვირვობთ და ვერ მიმხვდარხართ, რამ გააბედვინა ამ საცოდავებს ამ ციებ-ცხელების ბუდეში დასახლკარებულიყვნენო. ამ მეგრელთა გადამხმარ-ჩაყვითლებულ სახეებზე ამოიკითხავთ მთელს ტანჯვას, მთელს წვალებას, რაც იმათ უნდა გამოევლოსთ; მათი სახე ადვილად ჩაგახედებსთ მათს საცოდავს გულში, რომ ამოიკითხოთ შიგ დანთებული გენია დაუშრეტელი, დარდი და ვარამი განუზომელი, სამსალა და ნაღველი ერთად არეული. ერთი ჰკითხეთ ამ ცოდვის შვილებს, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულთ ვინაობა, სადაურობა, როგორმყოფობა. და პასუხად გაიგონებთ ერთს დაუსრულებელს ჩივილს მწარე ხვედრისას, ამბავს მათის უნუგეშო წარსულისას, წყევაკრულვით სახსენებელ აწმყოსას და ამბავს უფრორე უნუგეშო მომავლისას. ამ ოცის წლის წინად 25 კომლს მეგრელს თავი დაუნებებია სენაკის მაზრისათვის, სადაც ისინი მოთმინებიდან გამოუყვანია უმამულობას, ძაღლუმადურ ცხოვრებას; სოხუმის ოლქში გადმოხვეწილან ბედის საძებრად. უვლიათ უგზოუკვლოდ და, სხვა გზა რომ არა ჰქონიათ, ამ ადგილზე გადაუწყვეტიათ დამყარება. ეს ადგილი ქალაქისა იყო, მაგრამ რადგან ურგები და ჭაობიანი იყო, ზედ არავინ სახლდებოდა. კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ქალაქს უფასოდ უნდა მიეზომა ას დესეტინაზე მეტი მატროსებისათვის, რომ მეთევზეობა გაევრცელებინათ სოხუმში. მაგრამ მატროსთაგანი არავინ აღმოჩნდა აქ დასახლების მსურველი. მაშინ ზემოხსენებულმა მეგრელებმა ქალაქს უთხრეს, მაინც ხომ არავინ ესახლება ამ მიწებზე, და გთხოვთ იჯარით მოგვცეთ სახნავ-სათესადაო. ქალაქსაც ჭკუაში დაუჯდა უსარგებლო მიწების გამოყენება და თანხმობა გამოუცხადა. ჯერ ახლა რა არის აქაურობა და 20 წლის წინად ხომ გაუვალს ჭაობს წარმოადგენდა! მეგრელებმა მხნედ მოჰკიდეს ხელი საქმეს. ტყე, რაც შეეძლოთ, გაჰკაფეს, ჭაობები დააშრეს, გაიჩინეს სახნავ-სათესი, გააშენეს ვენახი და გაჩნდა ეგრედწოდებული „მაიაკის“ სოფელი. ქალაქს დესეტინაზე ექვს მანეთს იჯარას ფულს აძლევდნენ წლიურად და თითონაც წლითი-წლობამდე იოლად გამოსვლას ახერხებდნენ. მაგრამ სოხუმში თვით-მმართველობა რომ შემოვიდა, ნეტარ-ხსენებულმა ბ-ნმა ბერენსმა, მაშინდელმა პატრონმა და ბატონმა სოხუმისამ, აითვალისწუნა ისედაც ყველასაგან ათვალისწუნებული მეგრელები და უთხრა—აქედან მიბრძანდით, მატროსები უნდა დავასახლოთ ამ მიწებზედაო. მეგრელებმა მოახსენეს: ოცი წელიწადია ჩვენი ძალ-ღონე აქაურობის გაწმენდას, ციებ-ცხელებასთან ბრძოლას შევალიეთ და ახლა მზა-მზარეულზე სხვები უნდა დაასახლოთო? ეგ თუნდ არაფერი, მატროსებიც რომ არსად არიან ჯერ, რაღად დგებით ჩვენს ცოდვაში და რად გვიწყვეტთ ლუკმა-პურსაო? მაგრამ ასეთის საბუთებით ფონს ვერ გავიდნენ და ძალა რო დაადგათ, ხელმწიფე იმპერატორს ტელეგრამითა სთხოვეს უქვეშევრდომილესად—ასეთ დღეში ვართ თქვენნი ერთგულნი ქვეშერდომნი და მოწყალება მოიღეთო. მოხდა გამოძიება, რომელიც, გვგონი, დღესაც არ გათავებულა. და დღესაც იმის გათავების მოლოდინშია 25 კომლი მეგრელი, რომელთაც არ იციან, დღეს რომ თავის ღარიბულს ქოხში სძინავსთ, ხვალ სად მოუხდებათ უსახლ-კაროდ ყოფნა, უმწეოდ ხეტიალი და ერთის მტკავლის მიწის ძებნა. ესეც თქვენი მოკლე თავგადასავალი „მაიაკის“ სოფლისა.

მეოთხე ვერსტიდან იწყება თავ. გიორგი შარვაშიძის (ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი) მამული. ეს ერთად-ერთი მემამულე გახლავსთ აფხაზეთში, რომელსაც აქაურობაზე კარგად მოზრდილის (6,000 დესეტინა სახნავ-სათესია) მამულის შეძენა და, თავიდა-თავი, შერჩენა და ასე თუ ისე მოვლა მოუხერხებია. უზარ-მაზარი ზვარი ევროპიულ ჯიშის ვაზებისა, გამოცდილ ფრანგ-მებაღის

იყვნენ მიცემულნი სასჯელთა დებულების მე-251 მუხლის ძალით აკრძალულ გაზეთ „ისკრა“-ს საიდუმლო სტამბის მოწყობისათვის კიშინევში. დამნაშავეთ იცავდნენ ნაფიცნი ვექილნი პეტერბურგისა—ნ. დ. სოკოლოვი, მოსკოვისა—ვ. ა. მაკლაკოვი, სმოლენსკისა—ვ. ლ. გლინკა, კიევისა—მ. ბ. რატნერი და კ. კ. ჩეკერულ-კუშ, ოდესისა—მ. ბ. ცვილინგი. დამცველთა თხოვნით ამ საქმის განხილვა გადაიდო.

◆ 27 სექტემბერს ცარიცინში სამოსამართლო პალატის სესიას განუხილავს საქმე ნოქარის დანილოვისა და მასწავლებლის კარალოვისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ პროკლამაციებისა და, საზოგადოდ, აკრძალულ ლიტერატურის გავრცელება ჯარის-კაცთა შორის. დამნაშავეთ იცავდნენ უფლებათა კანდიდატი ს. ე. კალმანოვიჩი და ნაფიც ვექილის თანაშემწე ჩუმაევსკი. პალატამ დანილოვი და კაჩალოვი ჯარში აკრძალულ ლიტერატურის გავრცელებისათვის პასუხის მგებლობისაგან გაანთავისუფლა, ხოლო აკრძალულ წიგნების შენახვისათვის გადაუწყვიტა თითო თვით პოლიციაში დაპატიმრება და ერთის წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა.

◆ კიშინევში ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის საქმის განხილვა დანიშნულია 6—12 ნოემბრისათვის. ამ საქმის თაობაზე პასუხის გებაში მიცემულია 37 ქრისტიანი, ამათგან 8 კაცი ებრაელ ბარანოვიჩისა, გალანტერისა, ცხმანისა, კანტერისა და რეიზა კაცანის მოკვლისათვის. მოწმეებად დაბარებულია 500 კაცი.

◆ საერო განათლების სამინისტრო 1904 წლიდან აარსებს სამრეწველო სასწავლებელთათვის საოლქო ინსპექტორის შვიდ თანამდებობას.

◆ მოხსენებული გვქონდა, რომ 22 ოქტომბერს კიევის სატუსაღოს შენობას ცეცხლი გაუჩნდაო. როგორც „რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება, ცეცხლი ტუსაღებს უნდა გაეჩინოთ, რადგან ცეცხლი ერთსა-და-იმავე დროს წაეკიდა მეორე და მესამე სართულს.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობას აღუძრავს საკითხი პოლიციის სახლებთან არსებულ სატუსაღო სადგომების გაუმჯობესების შესახებ. ამასთანავე ადგენენ პროექტს, ყველა საპოლიციო ნაწილში განსაკუთრებულ შენობის ასაგებად ქუჩებში დაჭერილ ლოთებისათვის.

პრესსა

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ ცნობები რუსეთის ცენტრის გაღარიბების შესახებ და ამასთანავე შევნიშნეთ, რომ უკეთესს მდგომარეობაში არც განაპირა ქვეყნების გლეხობაა. განაპირა ქვეყნებს რუსული გაზეთებიც გამოესარჩლენ. მაგალითად, „პეტერბ. ვედომ.“ სწერს:

> ცენტრის გაღარიბების კომისია კარგად ასურათებს შიდა რუსეთის გაღარიბების მიზეზებს და შესაფერ ღონისძიებათაც აღნიშნავს სენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერობის უფლებათა გაფართოვებაც, მცირე კრედიტის საქმის მოწყობაც და დანარჩენი საშუალებანიც სასარგებლონი იქნებიან. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება გამოსადეგია არა მარტო ცენტრისათვის, არამედ განაპირა ქვეყნებისთვისაც, მით უმეტეს, რომ ბევრ განაპირა ქვეყანაში არა თუ ფართო უფლებიანი ერობა არ არსებობს, არამედ არავითარი თვით-მმართველობა არ არის. არც მცირე კრედიტი აწყენს განაპირა ქვეყნებს, არც სხვა ღონისძიება.

საზოგადოდ, გაზეთი იმ აზრისაა, რომ

> კომისიის მუშაობის შეზღუდვას მარტო ცენტრის მდგომარეობის გამოკვლევით არავითარი აზრი არა აქვს: პირიქით, სასურველია, კომისია შევიწროებული არ იქმნას გეოგრაფიულის საზღვრებით და მთელის რუსეთისათვის მუშაობდეს. მაშინ კომისიას შეეძლო უფრო სრული და დასაბუთებული პასუხი მიეცა მთავრობისათვის, ისეთი პასუხი, რომელიც მთელის რუსეთის მცხოვრებთა ინტერესებისათვის იქნებოდა სასარგებლო.

⁂

ამავე საგნის გამო „ბირჟ. ვედომ.“ სწერს: ვის შეუძლია მტკიცედ აღნიშნოს საზღვრები გაღარიბებულ ადგილებისა?

> მართალია, 1892 წელს ჩრდილოეთ კავკასიამ დამშეულ შიდა გუბერნიებს მიაწოდა პური, მაგრამ 1902-1903 წელს იმავე კავკასიამ იგრძნო გაღატაკება; თვით კაზაკებიც-კი ჩავარდნენ განსაცდელში და აღიძრა საკითხი კაზაკთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საჭიროების შესახებ. ცოტა ამაზე წინად მთავრობისაგან შემწეობა დასჭირდა რუსეთის სამხრეთ და დასავლეთ გუბერნიებს. მაშასადამე, იქაც გაღარიბებასა აქვს ადგილი. არც-თუ ჩრდილოეთი გუბერნიები არიან უკეთესს მდგომარეობაში...
>
> რჩება, მაშასადამე, ამიერ-კავკასია, შუა აზია და ციმბირი. ამ განაპირა ქვეყნების შესახებ შეიძლება კიდევ ეჭვი დაიბადოს: ეს ქვეყნებიც ისე სწრაფლად ღარიბდებიან, როგორც ცენტრი, თუ არა? შესაძლებელია, რომ ეს ადგილები ცენტრივით მალე არ ღატაკდებიან...მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხსენებული განაპირა ქვეყნები მდიდრდებოდნენ, ისინი მხოლოდ ჩამორჩნენ გაღატაკებაში ცენტრს. ჩრდილოეთ კავკასიაც და სამხრეთ რუსეთიც ჩამორჩენილი იყვნენ, მაგრამ განვლო 10 წელიწადმა და ის მხარენიც დაეწიენ ცენტრს, იმასავით გაღატაკდნენ. უეჭველია, დანარჩენ განაპირა ქვეყნებისთვისაც დადგება დრო, როდესაც ისინიც ცენტრის ყოფაში ჩავარდებიან. წინააღმდეგის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რადგან ის მიზეზები, რომელთაც, კომისიის აზრით, ცენტრი გაალატაკეს, განაპირა ქვეყნებშიაც მოქმედებენ. ეს მიზეზებია: ადგილ-მამულის ნაკლებობა, მცხოვრებთა უვიცობა, წესწყობილების უვარგისობა და სხვა...

ტფილისის საბაღოსნო სკოლა

ამ რამდენისამე ხნის წინად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა აცნობა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ მინისტრმა შესაძლებლად სცნო ერთის წლით კიდევ განაგრძოს ის ვადა, რომლის განმავლობაშიაც საბჭომ უნდა გააწესრიგოს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის საქმეები. თუ ვინიცობა საბჭო ამ ხნის განმავლობაში სასწავლებელს უკეთესს პირობებში არ ჩააყენებს, სამინისტრო სრულიად დახურავსო. ჯერ კიდევ სამი-ოთხი წლის წინად სამინისტრომ დაავალა საზოგადოებას, ეზრუნა სკოლის საქმეთა გასაუმჯობესებლად და მოსწერა საბჭოს, 2 წლის განმავლობაში გაესტუმრებინა საბაღოსნო სასწავლებლის გამო ადებული ვალი, გამოენახა მუდმივი წყარო, საიდანაც უნდა იფარებოდეს სასწავლებლის ყოველ-წლიური დეფიციტი, შეეკეთებინა ხელ-ახლად სკოლის ძველი შენობანი, გაეახლებინა ძველი სახლები, აეშენებინა აბანო, სამრეცხელო, სარდაფი. სახელოსნო და სხვ. ეხლა საზოგადოების საბჭომ სამინისტროს გაუგზავნა მოხსენება, რომლითაც საბჭო აცნობებს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად სასწავლებელი.

განსაკუთრებულ კომისიის მეოხებით საზოგადოებამ საბაღოსნო სასწავლებლის საქმეები ცოტად თუ ბევრად გამოაკეთა. საზოგადოებამ განაახლა ძველი შენობანი სასწავლებლისა, შემოავლო მაგარი და მკვიდრი გალავანი, ააშენა ახალი სადგომი მოსწავლეთა დასაძინებელ ოთახებისთვის, ააშენა ახალი სამზარეულო, აბანო, პურის საცხობი, შეაკეთა სკოლის შენობა, ააშენა ხილის სახმობი სახლი, განაახლა საყვავილე, მოაწყო სავადმყოფო და სხვა. სულ საზოგადოებას დაეხარჯა 10,983 მან. 84 კაპ. ამას გარდა საზოგადოება შეუდგა სკოლისათვის მუზეუმის მოწყობას, სადაც მოთავსებული იქმნება ნაწარმოებნი მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგისა. მოხსენებაში საბჭო სწერს, რომ სასწავლებლის ნაყოფიერ მოქმედებას ხელს უშლის ის, რომ იგი დღევანდლამდე ქონებრივად არ არის უზრუნველყოფილი. ბიუჯეტი საბაღოსნო სკოლისა, სადაც ამ ჟამად სწავლობს 48 მოსწავლე, უდრის 16019 მან. ამ ფულში შედის მთავრობისაგან დანიშნული შემწეობა 3000 მან., 3125 მან. საზოგადოება აძლევს და 7,200 მანეთი-კი მოსწავლეთ შემოაქვთ სწავლისა და შენახვის ქირად.

ასეთის მცირე თანხით სამეურნეო საზოგადოებას არ შეეძლო საბაღოსნო სასწავლებელი სასურველად მოეწყო. საზოგადოებას აქამდე ისიც ვერ მოეხერხებინა, რომ მოეშორებინა სკოლის ვალი, რომელიც ამა 1903 წლის იანვრამდე უდრიდა 6552 მან. ამ ერთის წლის წინად სასწავლებლის ბაღში ხეხილს გაუჩნდა ფესვების სიდამპლე, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა. საზოგადოება იძულებული გახდა აეჩეხა სამ დესეტინამდე ხეხილეულობა, რომელსაც სკოლისათვის წელიწადში 1000 მანეთზე მეტი შემოჰქონდა. სკოლის ეზოში აიჩეხა აგრეთვე სანერგე. სანერგე საზოგადოებამ სოფელ კასპში გადაიტანა, სადაც თავ. ზ. ერისთავმა საზოგადოებას 12 წლით დაუთმო 16 დესეტინა მიწა. ახალ ადგილზე სანერგის მოწყობასაც დიდი ფული დასჭირდა. შემდეგ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საბაღოსნო სასწავლებელმა 15 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეთა ნდობა და ყურადღება დაიმსახურა, რაიც იმით მტკიცდება, საბაღოსნო სასწავლებელში კურს-დასრულებულთ მეურნენი იწვევენ თავიანთ მამულებში და გასამრჯელოდაც კარგს ფულს აძლევენ, 360-დან 1200 მანეთამდე წელიწადში.

საბაღოსნო სკოლაში დაარსებიდან დღევანდლამდე სწავლა დაუსრულებია 145 კაცს, აქედან 120 კაცი სასწავლებელში შეძენილ სპეციალურ ცოდნითა სცხოვრებს, 18 სხვა თანამდებობაში მსახურებს, 2 ჯარშია გაწვეული და 5 გარდაიცვალა.

ამ ჟამად საზოგადოების საბჭო უმთავრეს ყურადღებას აქცევს კასპში სანერგესა და ბაღის გაშენებას. კასპის მამულში გაზაფხულზე დარგო 8000 ხე, გაიმართა ამერიკულ ვაზის სანერგე, გაკეთდა 30 კვალი, რომლებზედაც დაითესა ძვირფასს მცენარეულობათა თესლი და სხვა. სკოლის ეზოში უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ყვავილების მოშენებას, რომლისთვისაც უკვე ააშენეს 2 თბილი სადგომი, რადგან ყვავილები კარგ ფასად იყიდება. აქვე გაკეთდა სანერგე ევროპიულ ვაზისა და სხვა.

საბჭო ამ რამდენისამე ხნის წინად შეუდგა ღვინის სარდაფის მოწყობასაც. რადგან საზოგადოებას უსახსრობისა გამო არ შეუძლიან დაამთავროს სარდაფი, საბჭო მოხსენების დასასრულ სთხოვს სამინისტროს, დახმარება აღმოუჩინოს სარდაფის მოსაწყობად.

თეატრი

ამ ბოლო დროს პეტერბურგსა და მოსკოვში რამდენიმე ახალი საინტერესო პიესა წარმოადგინეს. ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია სამმა პიესამ: ბ-ნ ნაიდენოვის

ხელმძღვანელობით ევროპიულად მოვლილი მაყურებელს თვალს უხარებს. მაგრამ წარმოიდგინეთ იქავ გვერდით მეურნეობა მეგრელ მოიჯარადრისა, რომელიც შარვაშიძისავე მამულზე დაბინავებულა. წნული ფაცხა, წნულივე, წასაქცევად გამზადებული, სასიმინდე, დაფეფხვილი საღორე—აი მთელი უძრავი ქონება აქაურის მოიჯარადრე მეგრელისა. ეზოში ერთს ხეხილის ხეს ვერ ნახავთ წამლად. ყველაფერზე ეტყობა, რომ მოიჯარადრე დროებით მოსახლეა, იჯარის ვადის გათავებას უყურებს, არ იცის, მერე რა მოელის, სად წავა, ვის მამულზე დაბინავდება. სულ იმის ფიქრშია, დღევანდელი დღე როგორ დაავაღამოო. ასეთ მედღესმეხვალიეთაგან არიან შემდგარნი სოხუმის მემამულეთა მიწებზე დაბინავებულნი მეგრელნი. და აბა რა გასაკვირველია, ქართული ანდაზა—„მედღეს-მეხვალიესაო უწვიმდეს და უთოვდესო“—სრულებით გამართლდეს ამ ცოდვის შვილებზე…

მერვე ვერსტზე, მდინარე გუმისტასთან, თავ. გ. შარვაშიძის მამული თავდება. ამის იქით იწყება ის ადგილები, რუსეთიდან გადმოსულ მდიდრებმა რომ შეიძინეს ჩვენებურ მემამულეთაგან. წარმოუდგენელია ის ფასები, რა ფასებიც ამ მამულებს დაედო ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში. ნაომევს, როგორც მოგეხსენებათ, ეს ადგილები მდინარე აცის წყლამდე გაპარტახებული იდო. წინანდელი მკვიდრი აფხაზები მოკლებულ იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუმის მახლობლად დასახლებულიყვნენ, როგორც არასაიმედო ელემენტები. აბჟუაში (აღმოსავლეთ აფხაზეთში) შეეძლოთ ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა; ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდინარე აც-წყლის იქით გაგრამდე. მიზეზი ასეთის სასჯელისა ის გახლდათ, რომ რუს-ოსმალოს უკანასკნელ ომის დროს აფხაზთ ოსმალთა მომხრეობა დაბრალდათ. აფხაზთ რომ ჰკითხოთ, ფიცით-მტკიცით თავს იმართლებენ,—ომის დროს უპატრონოდ დავრჩით, ჩვენს ქვეყანას ოსმალი შემოესია და დაეპატრონა და ორში ერთი უნდა აგვერჩია: ან ოსმალთ შევბრძოლებოდით, ან მათს მხარეს გადავსულიყავითო. ბრძოლის ატეხა ჩვენის გაწყვეტით გათავდებოდა, და ამიტომ ისევ მათს მხარეს გადასვლა ვარჩიეთო. ოსმალთ ოსმალეთში წაგვასხეს, მაგრამ იქ მწარე დღე დაგვადგა, ნახევრად გავწყდით და აქ რომ დავბრუნდით—მოღალატეებად მოვინათლენითო. აი ამ „მოღალატეთა“ ადგილები გავერანებულად დარჩა ნაომევს; დესეტინა მიწა 5—10 მანეთად ფასობდა. როცა სოხუმს ფასი დაედო, ამ ადგილებსაც მოაშურეს. დესეტინა მიწის ფასი ერთბაშად 50—60 მანეთამდე ავიდა. სოხუმში გაჩნდა მთელი ბრბო კომისიონერებისა, შუამავლებისა, გაჩნდნენ გეშეფტ-მახერები, რომელნიც, ხუთ-თუმნად რომ თვითონ ყიდულობდნენ დესეტინას, ოც, ოცდაათ და ორმოც თუმნად სხვებზე ჰყიდდნენ იმავე დესეტინას. მაგალითი იყო, რომ დესიატინა სამოც თუმნადაც გაიყიდა; ფასები დაედო განსაკუთრებით ზღვის პირას მდებარე მიწებს. ზოგი ჰყიდულობდა „უმაღლეს კულტურის“ დასაწყობად, ზოგი სააგარაკოდ და ზოგი კიდევ იმისთვის, რომ, რკინის გზის გაყვანის შემდეგ, ნაჭერ-ნაჭერ გაეყიდნა ერთი-ათად და ერთი-ოცად. ახალმა კულტურგერებმა ჯერ-ჯერობით ბევრი ათასები ჩაღუპეს ამ ადგილებში, ზოგმა ვილებიც გაიშენა, ზოგმა ხეხილის ბაღები გაიჩინა. ჯერ-ჯერეობით, რა თქმა უნდა, წელი მოსდევსთ და შეუძლიათ გაუძლონ ამ ხარჯს, მაგრამ ულეველი არაფერი გახლავსთ. მთელი იმედი მათი—რკინის გზაა, რომელმაც რუსეთი კავკასიას უნდა შეუერთოს. თუ გზა მალე გაიყვანეს, იმედები, გვგონი, გაუმართლდესთ, მაგრამ თუ კიდევ ჰარგა ხანი გავიდა მის გაყვანამდე, თქვენი მტერი, მათს იმედებს კბილი მოეჭრას!

ფსირცხის (ახალ ათონის) მონასტრამდე ჩვენებურს ორიოდეს კიდევ შერჩენია მამული. გასაკვირველიცაა, რომ ამათ სულმა არ წასძლია და გაუძლეს მეტად ძნელს ცდუნებას—მყიდველთა მიერ შეძლეულს საარაკო ფასებს! ამათს მამულებზე მეგრელთა მაგიერ ვხედავთ ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხებს, რომელნიც თუთუნის მოვლა-მოშენებას მისდევენ. თუ რამდენად სახეიროა ეს დარგი მეურნეობისა აქეთკენ, იქიდან დაინახავთ, რომ მოიჯარადრე სომხები დესეტინაში 25—30 მანეთს იძლევიან წლიურ იჯარას. აფხაზეთის ნოყიერი და დასვენებული მიწაც უხვად იძლევა მოსავალს. დღეს ამ მხარეში ბერძნებს გარდა ოთხ ათასზე მეტი სომეხია, რომელნიც მეთუთუნეობას მისდევენ. რუსეთში ამ ჟამად საპატიო ადგილი უჭირავს სოხუმის ოლქის თუთუნს როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით. სოხუმში ვინ იცის, რამდენმა მოიკიდა ქონი თუთუნის ვაჭრობით, რამდენმა გადასჭიმა სრა-სასახლეები, რამდენმა შეიძინა ძვირფასი მამულები! სამწუხაროა, რომ აქეთ წამოსულ მეგრელებს არავითარი წილი არ უდევსთ ამ სიმდიდრეში. ე კურთხეული შვილები თოხს ხელიდან არ იშორებენ და ჩასციებიან ათადან-ბაბადან სიმინდის თესვას, რომელიც ხარჯსაც კი არა ჰფარავს. საკვირველია, რომ სხვაფრივ ჰკუამახვილმა, გამჭრიახმა მეგრელმა რუტინას თავი ვერ დააღწია და აქამდე ვერ შეიგნო, რომ უსიმინდოდ ცხოვრება შეიძლება და შეიძლება გაცილებით უკეთესადაც, გუშინ ცხრამთის იქიდან გადმოხვეწილი სომეხი ან ბერძენი წლიურად ას-ორას თუმანს აღარ სჯერდება და მის მეზობლად მყოფი მეგრელი კი, თუ არ მეტს, მათდენსავე შრომას ეწევა და ტიტველი ცოლშვილიც ვერ შეუმოსავს!..

გზის გაყოლებაზე ვაჭრობის მოყვარე მეგრელებს ხის სამიკიტნოები წამოუდგამთ. მაგრამ გვერდით სომხებიც ამოსდგომიან, თითქოს ეუბნებოდნენ, მართალია, ვაჭარი ხალხი ხართ, მაგრამ „ჩამოდგეს“ ვერც ჩვენ გვეტყვითო. ათას ჯურა ხალხით სავსე დილიჟანსები, ჯაგვები ზოგი მიდის, ზოგი მოდის. მოძრაობა საშინლად გაცხოველებულია. ეს იქ, სადაც ამ ოცდახუთის წლის წინად ათასში ერთხელ თუ შეხვდებოდით ცხენოსანს აფხაზს და სადაც აფხაზის შიშით სხვა, თუ არ მეტად იძულებული, და ისიც თავით ფეხებამდე თოფ-იარაღში ჩამჯდარი, გავლას ერიდებოდა. ამ მგზავრთა შორის ხედავთ მთელს გუნდს, ეგრედ წოდებულ მლოცავ ქალთა ჲ კაცთა, რომელნიც რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ფეხით მოდიან აფხაზეთის წმიდა ადგილების (დრანდის, ფსირცხის და ბიჭვინტის მონასტრების) მოსალოცავად. აჰა, გამოჩნდა მთის კალთაზე წამოდგმული, ქალაქის მსგავსად, უზარმაზარი მონასტერი, მზის შუქზე მოლაპლაპე გუმბათებით. ვუახლოვდებით ფსირცხის (ახალ ათონის) მონასტერს, რომელიც მე-25 ვერსტზეა სოხუმიდან.

თ. ხ.

(შემდეგი იქნება)

„№-13“-მ, თავ. ბარიატინსკის „Пляска жизни“-მ და პოტაპენკოს—„Искупленіе“-მ. ნაიდენოვის პიესა პატარა, სულ ორ სურათიანი დრამაა. შინაარსად აღებულია სულ უბრალო და ჩვეულებრივი შემთხვევა. ერთ სასტუმროს №-13-ში სცხოვრობს ღარიბი კაცი, უიღბლო მემუსიკე. მეტად წვიმიან და სევდის მომგვრელ საღამოს ამ კაცთან შედის ახალგაზრდა, მაგრამ უდროოდ დამჭნარი ქუჩის ქალი. აი, ამ ქალის დრამაა პიესაში დახატული. საეფექტო პიესაში არაფერია: ქალს შიან, სიცივით კანკალებს, ხშირად ღამეებს ქუჩაში ათევს და სხვა, მაგრამ დრამა სევდიანი და ძლიერია.

თავ. ბარიატინსკის პიესის შინაარსი მაღალ საზოგადოების ცხოვრებიდან არის აღებული, საუცხოვოდ დახატულია თურმე ამ საზოგადოების წევრთა უქმი ცხოვრება, დროს გატარება, თავის თავისა და სხვების მოტყუება საქველ-მოქმედო საღამოების გამართვით და სხვა. ეს პიესა ძალიან მოეწონა პეტერბურგის საზოგადოებას. წარმოადგინეს ქ-ნ იავორსკის „ახალ თეატრ“-ში.

ბ-ნ პოტაპენკოს პიესა ეხლა-ხან წარმოადგინეს პეტერბურგის სახელოვნო-სალიტერატურო საზოგადოების თეატრში და გაზეთები შინაარსს არ გადმოგვცემენ, მხოლოდ ამბობენ, კარგიაო.

—

ავსტრიაში გალიციის სეიმმა 1000 მანეთი გადასდო იმ ავტორის დასაჯილდოვებლად, რომელიც პოლონურ ენაზე საუკეთესო სახალხო პიესას დასწერს.

—

როგორც გავიგეთ, ქართულის თეატრის არტისტს კ. მესხს უკვე მოსვლია თავ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „ღალატი“. ბ-ნი მესხი თარგმნას შესდგომია კიდეც.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! როგორც მოგეხსენებათ, საქარის სანერგე ამერიკულ ვაზისა მდებარეობს ყვირილის მახლობლად. აზრად ამ დაწესებულებას დამყნილ ვაზის გავრცელება აქვს იმ ადგილებში, სადაც ფილოქსერამ უკვე გააოხრა ვენახები. ამ საქმის განსახორციელებლად სანერგეში მსახურებენ სპეციალისტები, რომელნიც თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნას აწვდიან მევენახეთ, ვისაც-კი ვენახის გაშენება ჰსურს. სხვათა შორის, 1898 წელს, სანერგის გამგის მეცადინეობით, დაარსებულ იქმნა კურსები 20 კაცისათვის. პროგრამა ამა კურსებისა მარტივია. მოვარჯიშე მუშები, რომელთაც იღებენ ყოველ წლის მარტში, რჩებიან სანერგეში ერთ წელიწადს და უბრალო მუშებივით ასრულებენ ყოველნაირ სამუშაოს, რაც-კი გასაკეთებელია. გარდა ამისა, თავისუფალ დროს სპეციალურ საგნებისთვის დანიშნულია თეორეტიული გაკვეთილები. კურსები არსებობს დღემდისაც, რასაკვირველია, უცვლელად. კურსების გამგედ დანიშნულია სანერგის მმართველი და მოწაფეებს ხელმძღვანელობს სანერგის მებაღე ბ-ნი ჩივაძე. ბ-ნი ჩივაძე განაგებს ყოველსავე პრაქტიკულ მუშაობას ბაღში და მოვარჯიშეებიც იმის ხელში იმყოფებიან. ზემოხსენებულ ცნობებიდან მკითხველს შეუძლიან გაიგოს, რომ მოვარჯიშე მუშები მარტო უბრალო მუშებად არ არიან მოწვეულნი, ამათ უნდა შეითვისონ ყოველივე ის, რაც კეთდება სანერგეში, რათა შეეძლოთ მაგალითი აჩვენონ თავიანთ მეზობლებს ვენახისა და ბაღის მოვლა-მოშენების საქმეში. რასაკვირველია, სანერგის გამგეც ამას უნდა მეცადინეობდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ბ-ნმა ჩივაძემ ერთხელვე მოიპოვა ნდობა თავის უფროსისა და ყველაფერი იმის ნებაზე კეთდება. სანერგის გამგეს, სამსახურის საქმეებისა გამო, არა სცალიან, რომ ყურადღება მიაქციოს კურსების მდგომარეობას და გამგედ მებაღეა. ეს-კი, ცოტა არ იყოს, თვითნებობს. იმას უნდა ყვირილით და გინებით გაგვაკეთებინოს საქმე და, მოგეხსენებათ, გინებით საქმე არ გაკეთდება. სულ უბრალო შეცდომაზე ისეთ სასტიკ ღონეს ხმარობს, როგორიც რამდენისამე დღით უსადილოდ დარჩენა და გამორიცხვაა მუშაობიდან. მგონია, კარგი მასწავლებელი და ხელმძღვანელი უფრო გონიერ და რიგიან ზომებს მიიღებს ამისთანა შემთხვევაში. ამგვარი იმისი ქცევა პირველი არ არის. წარსულ წელს იმის მიზეზით თხუთმეტი კაცი იძულებული შეიქმნა თავი დაენებებინა სანერგესთვის. საქმე იქამდის გამწვავდა, რომ უწესოებაც მოხდა და ეხლა პასუხისგებაში მიცემულია ხუთი კაცი. ამისთანა შემთხვევა ხშირია, მაგრამ ბ-ნმა ჩივაძემ ტაქტიკა არ შესცვალა[*]

რუბენ შარაშიძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 **ოქტომბერი**

მოსკოვი. ქალაქის საბჭო ხელ-მეორედ შუამდგომლობს ტოტალიზატორის დახურვის შესახებ.

კიევი. კიევის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის გენერალ-ადიუტანტის დრაგომიროვის მეუღლის ნაყოფიერ მოღვაწეობის სამახსოვროდ, ტერეშჩენკომ შესწირა ამ საზოგადოებას 10.000 მანეთი ხელ-უხლებელ თანხად, რომლის პროცენტებით დარიბებს სადილი უნდა ეძლეოდესო.

ტოკიო. მინისტრ-პრეზიდენტმა მიიღო დეპუტაცია რუსეთის წინააღმდეგ ლიგისა და აუხსნა, თუ როგორ კრიტიკულ მდგომარეობაშია დღევანდელი საქმეები და რამდენად საჭიროა საქმეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომ იაპონიის ხალხს ერთი პირი ჰქონდეს.

ვაშინგტონი. პანამაში მივიდა ადმირალი გლასი ორის სამხედრო გემით.

ბერლინი. გუშინდელმა გასეირნებამ იმპერატორს არგო.

შანჰაი. მთავრობამ მიანდო პროვინციის მოხელეთ, წარმოადგინონ მოხსენება იმ ქალაქების შესახებ, რომელნიც უცხოელთა დასასახლებლად გამოდგებიან. ასეთ განკარგულებას იმითა ჰხსნიან, რომ ჩინეთის მთავრობა დარწმუნდა, ჩინეთის მდგომარეობის განმტკიცება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ უცხოელთ ჩინეთში ვაჭრობის ნებას მისცემს.

პარიზი. ლუბე სამაგიერო დარბაზობას იტალიის მეფეს მომავალ გაზაფხულზე გადაუხდის. —მთავრობამ განკარგულება გამოსცა მონაზვნების საზღვაო საავადმყოფოებიდან დათხოვნის შესახებ.

სტამბოლი. ზინოვიევმა და კალიცემ, თანახმად თავიანთ მთავრობის მინდობილებისა, გუშინ ბეჯითად მოსთხოვეს გარეშე საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ შეუცვლელად მიიღეთ რეფორმათა ყველა მოთხოვნილებაო. ამ საქმის თაობაზე მიღებულია მოკლე მემორანდუმი. ხმები, ვითომ მემორანდუმში ნაჩვენები იყოს დრო რეფორმების მისაღებად ან ულტიმატუმი,—საფუძველს მოკლებულია.

ვორონეჟი. დილის 10 საათსა და 30 წუთზე მობრძანდა ხელმწიფე-მემკვიდრე და მიტროფანის მონასტერში გაემგზავრა. ქუჩებში გამწკრივებულნი იყვნენ მოსწავლე ქალები და ვაჟები; ქუჩებსა და მოედნებში აურებელი ხალხი იდგა და აღტაცებით ეგებებოდა მის უმაღლესობას. ხელმწიფე-მემკვიდრემ ინება დათვალიერება წითელ-ჯვრის საავადმყოფოსა და კადეტთა კორპუსისა; ორს საათზე რამონის გაემგზავრა.

30 **ოქტომბერი**

სოფია. ირწმუნებიან, რომ სულთანმა ბრძანება გასცა, ბოლგარიის მთავრობასთან ხელ-ახლა გამართონ პირდაპირი მოლაპარაკება რეფორმების შემოღების შესახებ.

როსტოვი-დონზე. ქალაქის გამგეობა ამზადებს საკითხს, დააწესონ ფუთის გვალობაზე გადასახადი როსტოვში გატარებულ საქონელზე. ეს გადასახადი უნდა მოხმარდეს ქალაქში მისასვლელ გზების მოკირწვლას.

სტამბოლი. 20 ოქტომბერს პორტასათვის ჩაბარებულ ნოტაში რუსეთისა და ავსტრიის ელჩები იმეორებენ უკანასკნელად წარდგენილს წინადადებას რეფორმათა შესახებ და აცხადებენ, რომ თვით ოსმალეთის ინტერესებსაც შეესაბამება ეს წინადადება და მიღებაც მით უფრო შესაძლებელია, რადგან აქ ლაპარაკია მარტო დროებით ღონისძიებაზეო. ელჩებმა გამოსთქვეს მტკიცე იმედი, რომ პორტა შეასრულებს ამ მოთხოვნილებას მოკლე დროშიო.

კელნი. სტამბოლში ბალფურის სიტყვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. იმან სთქვა, რომ რუსეთისა და ავსტრიის მოთხოვნილება მინიმუმი არისო; აქიდან სჩანს, ინგლისს რომ მიეღო პირდაპირი მონაწილეობა ამ საქმეში, უსათუოდ მეტს მოსთხოვდა ოსმალეთსო. ოსმალეთისათვის ამ სიტყვით ცხადია, თუ ვინიცობაა, რუსეთსა და ავსტრიას არ დაეთანხმა, მაშინ უფრო მძიმე პირობებს წარუდგენენ. ეს დაახლოვებით იგივეა, რაც გერმანიის მთავრობას რამდენჯერმე განუცხადებია ოსმალეთისათვის. ბალფურის სიტყვა უმტკიცებს ოსმალეთს გაფრთხილების სამართლიანობას და უპირდება ოსმალეთს დაემორჩილოს აუცილებლობას, რომლის ნიშნები უკვე სჩანს.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „28 ოქტომბერს ღამით პეტერბურგიდან მოსკოვში მიმავალ საფოსტო მატარებლის ფოსტის ვაგონში თავის თავად ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 437 საერთაშორისო ამანათი, ორი ტომარა გაზეთებისა და 9—კორესპონდენციისა, 3 ცალი ამანათებისა და ერთი ცალი გაზეთებისა. დაიწვა აგრეთვე 13 ჩინთა, მაგრამ მეტი ნაწილი ფასიან ქაღალდებისა და 200 ქაღალდის ფული გადარჩა. დაზიანებულია ცეცხლისაგან 50 ჩინთა. 52 ჩინთა და 28 ტომარა დასველდა ცეცხლის გაქრობის დროს. კორესპონდენციები, როგორც დაზიანებული ცეცხლისაგან, აგრეთვე უვნებლად გადარჩენილი, მიიტანეს მოსკოვის პოჩტამტში 28 ოქტომბერს.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,65	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	$37{,}62^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6^1/_2\%$	
4% სახელმწიფო რენტა	$99^5/_8$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$95^1/_8$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	462	გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	347	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$290^1/_2$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^1/_2\%$ ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$91^7/_8$	„
$4^1/_2\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	90	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	212	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ხის ნახშირის

საწყობი

იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—6.—4)

თმის სალებავი

ნიგვზის

ექსტრაქტიდან

№ 4711

ჭაღარა თმასა, გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა

მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 9—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ჰოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

[*] საქარის სანერგის სარგებლობის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია; თუ დღეს ამ წერილს ვბეჭდავთ, ეს იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენც გვესმის ამგვარი საყვედური და იმედი გვაქვს, თუ მითქმა-მოთქმა საფუძვლიანია, სანერგეს მმართველობა შესაფერს ღონეს იღონებს.

რედ.

Дозв. ценз. Тифлисъ 30 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).